ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6584886

ნომერი: AR1979986

თარიღი : 22.07.2023

გაცემის თარიღი : 27.07.2023

გაცნობის თარიღი : 27.07.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N37ა; ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N37ა; ქალაქი თბილისი , მეფე მირიანის ქუჩა N37ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ მუხაშვილი პ/ნ 01024015711
- თბილისი პეკინის გამზ. II კვ. კორ. 6 ბ. 45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტორულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

1. ვინაიდან საპროექტო შენობა მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებული კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, ასევე ვინაიდან არსებული შენობა ახალაშენებულია და ჩამოყალიბებული იერსახის მატარებელია, რომელიც წარმოადგენს ერთ მთლიან არქიტექტურულ ელემენტს და მოითხოვს უფრო მეტად ფრთხილ დამოკიდებულებას, სამსახურს საჩრდილობლის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. აქედან გამომდინარე შეიცვალოს ფოტომონტაჟი და ამოღებული იქნას საჩრდილობლის მოწყობა.

2. წარმოსადგენია შედარებით შორი (მთლიანი ფასადის გამოჩენით) არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები.

3. საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ ზუსტი საპროექტო ადგილი.

4. განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე 01.10.08.006.194.01.501.001 საკადასტრო კოდი მონიშნულია ორჯერ, საჭიროა ერთი წაშალოთ, რისთვისაც ამავე განცხადებაზე გეძლევათ საშუალება ისარგებლოთ რუკის ცვლილების ღილაკით.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.